

ნარატივი – როგორც ლექსიკური ერთეული თანამედროვე ქართულში

თანამედროვე ქართულ ენაში მოძალებულ უცხო სიტყვებსა (უმეტესად ტერმინებსა) და გამოთქმებს საკმაოდ ხშირად თამამად უმშვეენებს მხარს მანამდე სრულიად კანონზომიერად არსებული და საჭირო უცხო სიტყვის – ტერმინის – უსაფუძვლოდ აქტიური და ხშირი გამოყენება.

ტენდენცია, რომ დროის გარკვეულ მონაკვეთში ამოჩემებული უცხო სიტყვა საარსებო სივრცეს იფართოებს და იკავებს, რა თქმა უნდა, მოტივირებულია – გაპირობებულია მთელი რიგი ფაქტორებით. ამ ტენდენციის მასაზრდოებელი, უპირველესად, პოლიტიკური დისკურსია (სანიმუშოდ შეიძლება დავასახელოთ ჩვენ თვალწინ „ყურისმომჭრელად“ გააქტიურებული და დამკვიდრებული: ლობი, პიარი, კონსესუსი, ინსინუაცია, კოჰაბიტაცია და მრავალი სხვა. ცხადია, ამას ემატება თვით ამ სიტყვებიდან ქართულის ნიადაგზე ნაწარმოები ლექსიკური ერთეულებიც: ლობირება, გაპიარება და ა. შ.). ყველაზე ხშირად სწორედ პოლიტიკური დისკურსით იწყება „სამოქალაქო სივრცის“ მოპოვება და გაფართოება ამგვარი სიტყვებისათვის. ერთ-ერთი ამოჩემებული და მოდური სიტყვაა თანამედროვე პოლიტიკურ დისკურსში **ნარატივი**. არის კონტექსტები, რომლებშიც ამ სიტყვის გამოყენება, უბრალოდ, ა) აუცილებელი ან ბ) დასაშვებია (მაგ., სამეცნიერო და მხატვრულ ლიტერატურაში, პუბლიცისტიკაში: „*ნარატივს* ან თხრობით რიგს ნაწარმოები მიეკუთვნება კომუნიკაციური სტრუქტურის ნიშნების მიხედვით“; „პოეტურ *ნარატივში* ჩანს ეგრეთ წოდებული „ჟანრული აზროვნება“; „ამ ლამისაა გნოსტიკური *ნარატივით* სრულდება დემნა შენგელაიას ერთი მოთხრობა“; „გურამ რჩეულიშვილის *ნარატივი*“; „მარტის *ნარატივი*“; „ამასობაში პოლიტიკური *ნარატივი* თავისი გზით განვითარდა“ და მისთ.), თუმცა ამ სიტყვის უსაფუძვლო და არასათანადო გამოყენება იმდენად ხშირია, რომ საზოგადოების სამართლიან შენიშვნებს (ირონიას და გულისწყრომას) იწვევს. აი, ამის დამადასტურებელი

ერთი ამონარიდი ქართული პრესიდან: „ამ სიტყვას თითქმის ყველა პოლიტიკოსი იყენებს. თანაც ისე გემრიელად ამბობენ, რომ სიტყვა კი არა საჭმელი მგონია და სურვილი მიჩნდება „ნარატივს“ აჯიკა ან ტყემალი მოვასხა... ძალიან ბევრი ლამაზი ქართული სიტყვა გვაქვს, მაგრამ – არა, უყვართ ქართველებს უცხო სიტყვები“ („კვ. პ.“, № 1, 2018 წ., გვ. 32). სრულიად გაუმართლებელია ამ სიტყვის გამოყენება ისეთ კონტექსტებში, როგორცაა, მაგ.: „თქვენ უნდა განსაზღვროთ *ნარატივი* თქვენი ქვეყნისთვის. თუ თქვენ არ განსაზღვრავთ, ვინმე სხვა ჩრდილოეთით განსაზღვრავს მას თქვენთვის ან დააფინანსებს მაგნე ძალებს ქართულ საზოგადოებაში, რათა განსხვავებული *ნარატივი* განსაზღვრონ, რომელიც თქვენს ინტერესებში არ შედის“ („ქრონიკა +“, № 6, 2018 წ., გვ. 10) და მრავალი სხვ.

კონტექსტთა ანალიზი მოწმობს, რომ **ნარატივი** ანაცვლებს და, ფაქტობრივად, სიტყვათხმარებიდან აძევებს ისეთ სიტყვებს, როგორებიცაა: ამბავი, საუბარი, თხრობა, მსჯელობა, შეფასება, აზრი, მოსაზრება, თვალსაზრისი, ხედვა და ა. შ. (შდრ. ქართული ზედსართავი სახელი **მაგარი**, რომელმაც განდევნა უამრავი ზედსართავი სახელი, რამდენადაც ყველაფერი – კარგიცა და ცუდიც – მხოლოდ „მაგარია“!). ფაქტია, რომ ენას (და აზროვნებასაც, შესაბამისად!) აზარალებს არამართო ბარბაროზმები, არამედ ბარბაროსულად, დაუდევრად გამოყენებული სიტყვები – უცხოურიცა და მშობლიურიც. ნარატივის დაუდევრად გამოყენების თაობაზე სამართლიანი გულისწყრომით წერდა გ. მასისაშვილი: „ამ ბოლო დღეებში განსაკუთრებით მძლავრობს ახალი ენჯელომნიკური სიტყვა და მისი უგუნური „უპრაგონო“ ხმარება – ნარატივი. ისე უხეშად ხვდება მისი ხმარება ყურს და ისე ამახინჯებს ქართულს, რომ მომინდა მისი ახსნა – ჯერ ერთი, ინგლისურად „ნ“ თითქმის არ გამოითქმის „ნერატივ“ და არა უხეშად მასზე – „ნარა“ მახვილის დაცემა, როგორც ამას ჩვენი ელიტა აკეთებს და ამით ამჟღავნებს ამ სიტყვის უცოდინარობას. შე დალოცვილო, ინგლისური რომ არ იცი სირცხვილი კი არაა, სირცხვილი ისაა, რომ არ იცი და კეკლუცობ მისი უნიჭო ხმარებით. ეს სიტყვა – ნერატივი (და არა ნარატივი), სხვადასხვა კონტექსტიდან გამომდინარე, ნიშნავს სათქმელს, ამბავს, ნაამბობს, ისტორიას, ქრონიკას, ანგარიშს, ვერსიას, ქორონიკონს, აღწერას. რა ფართო არჩევანია, რაღა მაინცა და მაინც ამ ნარატივს მიაღებო. აი, იმ პარტიის ლიდერის გასაგონად მიინდა ვთქვა, ჩვენი ილია რომ არ ეპიტნავენა

დიდად, ხალხს კი გამორჩეულად – მისი პარტია. იგი ხმარობს ამ სიტყვას ხშირად. თქვენ ალბათ ის უფრო მოგეწონებოდათ ილიას „გლახის ნაამბობისთვის“ „გლახის ნარატივი“ რომ დაერქმია, არა?”

საილუსტრაციოდ წარმოვადგენთ ყველაზე ტიპურ ფრაზებს ქართული ინტერნეტსივრიდან. საილუსტრაციო მასალა **გუგლი-დან** (ყველგან დაცულია ავტორთა სტილი და პუნქტუაცია):

ქართული *ნარატივი* მსოფლიოსათვის;

ეს *ნარატივი* ორი კვირის წინ დამეწერა;

როგორც ცნობილია, გაბატონებულ ისტორიულ *ნარატივს* ქმნის პოლიტიკური ელიტა საკუთარი პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური მიზნების შესაბამისად და გასამართლებლად;

ანტიდასავლური *ნარატივის* შემცველი განწყობები;

სექსუალური ძალადობის *ნარატივი* პოპმუსიკაში;

სულელურია ეს *ნარატივი*, ეგ არის ქოცური ნარატივი-შელაპარაკება;

რუსეთის ფედერაციას საქართველოს ხელისუფლებამ ის *ნარატივი* აჩუქა, თითქოს ეთნიკური კონფლიქტი ქართველებსა და ოსებს, ქართველებსა და აფხაზებს შორისაა;

მილიტარისტული *ნარატივი* ლიტერატურის სიბრტყეზე პროექციისას ითვისებს ტექსტის სხვადასხვა დონეებს: ვაზულას, თემას, მოტივს, ტროპს;

ეს ძირითადი სამი *ნარატივი* რომელიც თანაარსებობდა და თანაარსებობს დღეს ჩვენ პოლიტიკურ ენაშიც არის პოსტკოლონიალური სინდრომის შედეგი;

კონსტიტუციის ხშირი ცვლილება შეიძლება აიხსნას იმით, რომ საბჭოთა კონსტიტუციური პროექტის ძირითადი *ნარატივი* სხვადასხვა ეპოქაში ძირეულად იცვლებოდა და მოითხოვდა ჟანრულ და რიტორიკულ კორექტირებას;

თურქულ ოკუპაციაზე საუბარი რუსული *ნარატივია*;

ეს არის რუსული *ნარატივის* კულტივირების მცდელობა;

ამას რუსული *ნარატივის* გაძლიერებისათვის აკეთებს;

ლექცია თემაზე: სიძულვილის ენა და ანტიევროპული *ნარატივი*;

საჯარო ლექცია: „ფობიები და საქართველოს ეროვნული *ნარატივი*“;

ქართული ნაციონალური *ნარატივები* კონფლიქტებთან მიმართებაში: 1991–2012 წლები;

წინამდებარე წერილში განხილულია *ნარატივის* ტიპები და განსხვავება კეთდება დადლილ და ცოცხალ *ნარატივებს* შორის;

ქალების *ნარატივი*;

ამ გზით და აქაური მარადიული კომკავშირლების გრანტებით ჭყეპვით სურს დასავლეთს აღუდგეს წინ რუსულ *ნარატივს* და შეცვალოს უკეთესისკენ ხალხის მიერ სამყაროს აღქმისა და გაგების წესი?

.....კოჰაბიტაცია შეცდომა იყო!“ და ესეც სრულიად ახალი *ნარატივია* ხელისუფლების მხრიდან – შეცდომის აღიარება.

ამგვარ ფრაზათა სიმრავლე გვაფიქრებინებს, რომ ენობრივი ვითარების ლინგვისტური ანალიზისა და შეფასების გვერდით აუცილებლად უნდა დაისვას ასევე კითხვები: მოცემულ კულტურულ პარადიგმაში ვინ არის პოლიტიკოსი – *ნარატორი*? თუ ასეა, რას ქმნის იგი – *ნარატიული* ჟანრის ნაწარმოებებს? მოგონებანი და მემუარები სხვა პარადიგმაა! ამ კითხვებზე დადებითი პასუხის შემთხვევაში პოლიტიკოსი არ არსებობს, უარყოფითი პასუხი კი ისევ სამართლიან კითხვას ბადებს: თუკი პოლიტიკოსი არც *ნარატორია* და არც *ნარატიული* ჟანრის კალმოსანი, მაშინ რას ერჩის **ნარატივს** და, მით უმეტეს, საზოგადოებას?!

ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ **ნარატივი**, როგორც ლათინურიდან მომდინარე საერთაშორისო მიმოქცევის ტერმინი, უახლეს სასაუბრო ქართულში (უპირველესად, პოლიტიკურ დისკურსში) საზოგადოების მეცნიერული თვალსაწიერის გაფართოების გამო კი არა, ინგლისურის თავგადაკლული მიმზამველობით ჩაენაცვლა არაერთ ქარ-

თულ თუ საჭიროებისამებრ დამკვიდრებულ უცხო სიტყვას, რაც ცალსახად უარყოფითად უნდა შეფასდეს.

რეალური ვითარების შესაბამისად, საანალიზო მასალის საფუძველზე ჩანს, რომ ნარატივის, როგორც ლექსიკური ერთეულის გამოყენებისას სამი სახის კონტექსტი გვხვდება: 1. აუცილებელი; 2. დასაშვები; 3. არასწორი. ამათგან, ცხადია, რომ, მეტყველების კულტურის თვალსაზრისით, ნარატივის გამოყენების აუცილებელი და დასაშვები ვარიანტები მართებული ენობრივი ოდენობაა, ხოლო არასწორი ვარიანტები – უმართებულო.

ლიტერატურა

გუგლი – გუგლის საძიებო სისტემა: <https://www.google.ge/>
ჭაბაშვილი 1989 – მ. ჭაბაშვილი, უცხო სიტყვათა ლექსიკონი, თბილისი.

Manana Chachanidze

***narativi* “Narrative” as a Lexical Unit in Modern Georgian**

Summary

narativi, a Latin international term replaced a number of Georgian or foreign established words in the newest Georgian language (especially in a political discourse) not for the purpose of expanding the scientific horizon of the society but because of the bad influence of the English language which should be assessed as a negative fact. According to the real situation and based on the research material, *narativi* is used as a lexical unit in three types of context: 1. *aucilebeli* “necessary”; 2. *dasašvebi* “permissible”; 3. *arasçori* “incorrect”. With respect to the speech culture, it is obvious that the first two variants of using this word are appropriate linguistic phenomenon while the third context is inappropriate.